

ივერია

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად

და განცხადებთა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვი
გამაგრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ კვირულზე
16 კაპ. მეორეზე—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი №227

გაზეთის ღირსე:

მან. კ.	თვე	მან. კ.
10—	6 . . .	6 —
9 50	5 . . .	5 50
8 75	4 . . .	4 75
8 —	3 . . .	3 50
7 25	2 . . .	2 75
6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაურა.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

დეკანოზი კობახიძე დავითის ძე კონსტანტინე გულითადის მწყობრებით აუწყებს რა წათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა ძვირფასის მუდღელსა თვისისა **პარტია დიმიტრის ახლის კონსტანტინე**ს, სთხოვს მობრძანდნენ პანაშვიდზე, რომელიც გარდახდნილ იქნება ყოველ დღე შუადღის 12-ს საათზე და საღამოს 7 საათზე. გაბაშვილების ვიწრო ქუჩა, № 9. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

(1-3083-1)

ქართული თეატრი.
კვირას 21 იანვარს, 1896 წ.
ქართულ დრამატულ საზოგადოების
დასასაჯან

წარმოდგენილი იქნება

ჩინის ლარიგ-ლასანნი

დრ. 5 მოქ. თარგ. ვალ. გუნიას მიერ

„მონაწილეობას ღებულობენ: ავა-
ოოვისა, ჩერქეზიშვილისა, მელიქი-
ცილისა, ჩხეიძისა, და სხვ. ბ-ნი
აბაშიძე, ალექს. მესხიანი, კ. მესხი
გუნია, გედევანოვი, სვიმონიძე, კან-
დელაკი, შათირიშვილი, ადამიძე,
მკვლელიშვილი და სხვ.

დგამლებს ფასი ჩუქურბაყა.

მოწაფეებისათვის ადგილები ლოვე-

ბის უკან 65 კაპ.

ასასწორის სწორედ 8 საათზედ.

ოთხშაბათს 24 იანვარს, დანიშნუ-

ლი ბენფისი გ. გედევანოვისა

რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი

მთავრობის განკარგულება.

სამხედრო უწყება: დანაშნულ იქმ-

ნა: მისას ამპრატორებისა უმადლე-

ობის დიდის მთავრის ზაქარე ლექ-

სანდრეს მის მე-79-ე კურსისა ქვეთა

შოლკის ზოდ-პრამორშხაე სარჩიძე

ფელეტონი

მასლაათი

„საშვიკი, სალალოზი,
ამხანაგთა სართველად“.

რუსთაველი.

ამას წინადა ჩვენს გაზეთში (ჩიფერ-
იკა № 10) დაბეჭდილი იყო მეთა-
რის წერილი, სადაც თქვენის უმო-
რჩილესის თანამეკლამემ—ბნ ლალ-
მა—აღნიშნა პროფესორის ბასილ
პეტრიაშვილის საიუბილეო დღესას-
წაულის მნიშვნელობა და, სხვათა
შორის, წარმოსთქვა ის აზრიც, რომ
„ბეჭდვით მოღვაწის კავშირი არ
შეუწყვეტია თავისს სამშობლოსთან,
იგი არის არა მარტო „მეცნიერი
ქართველთაგან“, არამედ ქართველი
მოღვაწეც და მონაწილეობას იღებს
ახლად აღორძინებულს ქართულს
ლიტერატურაში. ბ-ნი ლალი
თავაზიანი და მორიდებული მწერალია,
გაზეთის ზემო სართულში იღვწის
და ამიტომ პირდაპირ იმას არ იტ-
ყვის, რაც უბრალო მემასლაათის
შეფერება. უეჭველია, რომ გაზე-
თის სათავეში მდგომს, ცოტად მა-
ინც, საღიბლომითა ხელობა ესაქი-

ლია ზოდორუბაძე უფროსობით 1-ლ
სექტემბრიდან 1895 წლისა და დარე-
ზანდის მე 154-ე ქვეთა ზოდორუ იქმნა
გადეყვანილა.

ახალი წყალოვა.

თბილისი, 21 იანვარსა.

ბ-ნი სუფორინის გაზეთი „ახალი
დრო“ ქართველებსაც ძლიერა სწყა-
ლობს. სულ იმის ზრუნვაშია, რომ
გაგვამდიდროს რუსი მოხელეებით,
რუსული ეარგონით, რუსული ზნე-
ჩვეულებით, კვასით და, ასე გასინ-
ჯეთ, რუსი მუთუკებითაც. ეს
უკანასკნელი წყალობა მან ჩვენთვის
გამომიგეტა ამ ბოლოს ხანში. წინედ-
კი არ ემეტებოდა, უთუოდ იმითომ,
რომ ძლიერ ძვირფასს რამედ ჰა-
ხავს.

ხუმრობა გაშვებით, და ამას წი-
ნედ ამ ლალმა გაზეთმა არც აცია,
არც აცხელა და თამამად გამოსთქვა
ის აზრი, რომ ქართველს სახელმწი-
ფო გლეხებს მეტი მამულები უნდა
მოეუჭრათ, ჩამოგართვათ და რუსე-
თილგან იქ გადავასახლოთ რუსი
გლეხებით.

სწორედ ძველს ურიულს ანდაზას

როგმა. მიზეზიც აქ უნდა იყვოს,
რომ ჩვენმა თანამეკლამემ ასე „ოსტა-
ტურად აღნიშნა—ბნ პეტრიაშვი-
ლის მოღვაწეობაში დიდად მნიშვნე,
ლოვანია ის გარემოება, რომ ამ
პროფესორის კავშირი არ შეუწყვე-
ტია... და სხ., როგორც ზემოდ მო-
გახსენეთ. ყველასთვის ცხადია, რომ-
თუ ყველას არა, ზოგიერთს ქარ-
თველ პროფესორს მაინც კავშირი
შეუწყვეტია სამშობლოსთან და
სრულიად არა ენადღებოდა ქარ-
თულის ლიტერატურისა. ასეთი აზ-
რი იხატება ბ-ნი ლალის სიტყვებში.
ეს აზრი, მარტაც-და, ქვემარტი
და ნამდვილია. თუ ეს ასე არ იყვოს,
მაშ რა თითო საჩვენებელი იქნებო-
და ის გარემოება, რომ ქართველი
პროფესორი და მეცნიერი მოღვა-
წეობს ქართულის მწერლობის ასა-
რებზედ. სწორედ მეცნიერსა და განს-
წავლულს შეშვენის ეგეთი მოღვაწე-
ობა, თორემ რა უფიცთა და უსწავ-
ლელთა საქმეა სალიტერატურო სარ-
ბიელზე გამოსვლა!..?

დიდის მადლობის ღირსა პატივ-
ცემული პროფესორი ბ-ნი პეტრია-
შვილი, რომ ჩვენს ღირსს ლიტე-
რატურას წინადაც ეწეოდა და ახ-
ლაც ეხმარება. სხვაგან და სხვა

მისდევს ბ-ნი სუფორინი: მიეკეს და
მიემატოსო. რუსებს თავისი გაუზო-
მელი სამშობლო ისე თხლად აქვთ
დასახლებული, რომ მოგაგონებს
წყალ-წყალა ლობიოს შექმანდს,
რომელიცაც აქა-იქ თუ მოიძებნება
ლობიოს მარცვლი. პატარა საქარ-
თველო-კი ჰგავს სიონის ტაძარს 14
იანვარს, წმიდა ნინოობას, როდესაც
აქ ტევა არ არის ხალხისა... და აი
ბ-ნი სუფორინს მოუწადინებია, რათა
თხელი უფრო კიდევ გაათხლოს,
და მიქრო უფრო კიდევ გაამქიდ-
როვოს.

მართლა და რუსს გლეხებს თავისს
უფართოესს ქვეყანაში ერთი ხუთად
მომეტებული მამული აქვთ, ვიდრე
ქართველს გლეხებს საქართველოში.
ისინი ხალხათად დგანან ძლიერ და
მოკლებულნი არიან იმ სიღიწროვს,
იმ ნაკლებობას მიწისას, რომე-
ლიც ჩვენებურს გლეხს სულს უზუ-
თავს, ნებას არ აძლევს მიწურს ქობს
თავი დაახწიოს, ზევით მზის შუქზედ
ამოვიდეს და ცოტა ადამიანურად
იცხოვროს, სილატაქეს მეტ-ნაკლე-
ბობით თავი დაახწიოს, ვალი შეიმ-
ციროს. ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი
აკლდა და ისიც მიუმატესო. სწო-
რედ ამ უკანასკნელ მუგუზულად უნ-
და გახადოს რუსმა პუბლიცისტმა
რუსის მუთუკი ჩვენი ქვეყნისათვის.

მაგრამ აქ მარტო ეკონომიური
უდიერობით როდი თავდება საქმე.
ისტორიული და იურიდიული უსამარ-
თლობაც ზედ ემატება.

საქმე ის არის, რომ საქართველოს
ისტორიაში ვერც ერთს მაგალითს
ვერ შეხვდებით, რომ სახელმწიფო
გლეხს ჩამორთმეოდეს თუნდა ერთი
აღლი მიწა თუ არა დანაშაულო-

დროს პროფესორი ასეთის მოღვაწე-
ობით მადლობას ვერ მოიპოვებდა,
მაგრამ ჩვენი გარემოება სულ სხვა
არის. ჯერ ერთი, რომ ქართული
აწინდელი ლიტერატურა ნორჩი
ქმნილება და ცოტა ჰყავს ნიჭიერი
და განვითარებული ხელ-მძღვანელი.
მეორედ კიდევ, ამ ნორჩს ქმნილებას
დიდად ესაჭიროება ნოყიერი სამეც-
ნიერო საზრდა. ასეთს მდგომარეო-
ბაში დიდი ღვთის წყალობაა, როცა
მეცნიერების მსახური მედიდურად
არ უცქერის ჟურნალ-გაზეთობას და
ცოტოდენ დროს მაინც ამ საყოვე-
ლთაო მწერლობას ანდომებს. ღვთის
წყალობაა იმითომ ვამბობთ, რომ
მეცნიერების ტაძარი—თქვენც კარ-
გად გაგვგონებთ,—პირველ დროი-
დგანვე, უბრალო მომავლადვისათვის
მიუწოდებელ ადგილად გარდიქვა.
მის მსახურთა ისე მალლა ეკურათ
თავი, თითქო, იმათ გარდა, სხვა
აღარავინ იყო და არ ცხოვრობდა ქვე-
ყანაზედ. თუმცა მეცნიერება და გა-
ნათლება, თავისის ბუნებით, სერათო
და საქვეყნო საქიროებას უნდა შეა-
დგენდეს, მაგრამ ქურუმებს ეს მცნე-
ბა უკეთურებად მიიჩნდათ. იმათი
ბრალია, რომ დიდებული ტაძარი,
სადაც კაცის გონება ბრწყინავს და

ბისათვის. გარნა ქართველს სახელმწი-
ფო გლეხებს, უფრო ერთგულებს სხვა
ქართველებისათვის თავისი მეფის—ხე-
ლმწიფე იმპერატორისა, ვიდრე რუ-
სი გლეხები, მხოლოდ ის დანაშაუ-
ლება მიუძღვით სუფორინის წინაშე,
რომ ღმერთმა ისინი ქართველებად
გააჩინა. მაგრამ ეს დანაშაულება
მხოლოდ მაშინ იქნება აღიარებული
დანაშაულებად, როდესაც ბ-ნი სუ-
ფორინი დამტკიცებს, რომ ღმერთს
დიდი შეცდომა მოუვიდა, როდესაც
ყველა რუსებად არ დაბადა და ქარ-
თველს ერსაც მისცა ქვეყანაზედ
ადგილი.

დიას, ქართველი სახელმწიფო
გლეხს ჩვენში ყოველთვის მიიჩნდა
მთელი თავისი უძრავი მამული თავ-
ვისს საკუთრებად, რომელსაც მას ვე-
რავინ, თვით მეფეც, ვერ ჩამოართმე-
ვდა. ჩვენი მეფეც ამ კანონს სას-
ტიკად ემორჩილებოდნენ და არ არ-
ღვევდნენ მას, რათა არ შეერყიათ
სამაგალითო ერთგულება. სუფორინს-
სამაგალითო ერთგულება. სუფორინს-
კი ეს შეერყევა ფეხებზედ ჰკიდა,
ოლონდ-კი თავისი სკვირთური ინსტი-
ნქტა მოიკლას. მაგრამ ყველაზედ
გულ-ასამღვრივი მხარე ბ-ნი სუფო-
რინის პროექტისა სხვა ვახლავთ.

მოგახსენებთ, რომ ჩვენში მესა-
კუთრე გლეხები, რომელთაც სყიდ-
ვით შეუძენიათ უძრავი მამული, ბე-
გრინი იყვნენ და არიან. ისიც მოგე-
ხსენებთ, რომ ამ გლეხებს ხშირად
აუტებდნენ ზოლმე დავიდარაბას მე-
მამულენი, თავდა-ზანაურნი და სხვა
უფრო ძალოვანი და მოსვენებას არ
აძლევდნენ. ბევრნი ამისთანა გლეხ-
ნი დაადგნენ იმ აზრსა, რომ თუ
ჩვენ მფარველი არ ვიზოვნეთ, მოდა-
ვენი მოსვენებას არ მოგვეცემენ არას

ქვემარტებას მიესწავება, სრული-
ად ასცდა თავისს დანიშნულებას და
მეცნიერებას საიდუმლო ზეწარი გა-
დაფარა,—მეცნიერება რჩეულითა
ხვედრიაო, ასე ბეჭდნენ ქურუმნი...
ამიტომაც იმ დროს მეცნიერების
ტაძარს ისეთი სხივ-მომფენი და ცხო-
ველ-მყოფელი მადლი არა ჰქონდა,
როგორც საქიროა. დრონი იცვალ-
ნენ და მეცნიერების ტაძრის კარიც
ყველას გაეღო, მაგრამ ამ ტაძრის
ზოგიერთნი ქურუმნი მაინც თავისას
არ იშლიან. ახლაც იშვიათად არ
შეხვდებით ისეთ მეცნიერს, რომე-
ლიც ძველ ქურუმთა გზა-კვალს მის-
დევს და ისეც ჰგონია, ვითომ მდა-
ბიო კაცისათვის მეცნიერების სიტყ-
ვა და მოძღვრება მეტი ბარგაო.
ასეთს მეცნიერს, თავისის ტაძრისა
და კაბინეტის გარდა, სხვა აღარა-
ფერი სწამს და თანაც იმასაც ფიქ-
რობს, რომ მეცნიერებას საერთო არა
აქვს-რა ცხოვრებასთანაო. თუმცა,
სტამბის წყალობათ, ჩვენს დროს
თვით უდიდესი სამეცნიერო აზრი
მეცნიერების ტაძრიდან უბრალო ქო-
ხისაკენ მიეშურება, მაგრამ ძველის
ჯურისა და ყადის ქურუმნი ახლაც
თავიანთ ტაძრის ოთხ კედელ შუა
შეკეტლან და კარზედ გამოსვლას

დროს და სულ ამ ტანჯვაში ვიქნე-
ბითო. ამ მფარველად მთ აირჩიეს
სახინა და გამოაცხადეს თავისი თა-
ვი მამულითურთ სახელმწიფო გლე-
ხებად. ესე ხდებოდა წინა წლებში,
ესე ხდება ეხლა, მეტადრე გამიჯვნის
დროსა, როდესაც მეციღების შიშით
უარს ამბობენ გლეხები თავისს დვი-
ძლს მეცნიერობაზედ და სახელმწი-
ფოთ სდებენ მას იმ იმედით, რომ სა-
ხელმწიფო თავისს დღეში არ იკად-
რებს მათი კუთვნილების დაჩემებასა.
მრავალთა მაგალითთა შორის ჩვენ
მოვიყვანთ ერთსა, თავის-თავად ძლიერ
საინტერესოსა.

ორმოციანს წლებში სოფელს
ვარანში ამოწყდა, ამოიბუჯა ერთი
საბატონო გლეხი, რომლის კარში-
მიდამოზედ და მამულზედ გადმოსა-
ხლდა სხვა სოფლიდგან თავისუფალი
სახლობა გლეხისა, გვარად სირბილა-
ძე. ამ სახლობამ მალე შეისყიდა ეს
მამული მებატონესაკან სრულ საკუ-
თრებად, მშვენიერად გააკეთა იგი
და მალე შეიქნა მდიდარ მოსახლედ,
რადგანაც ვარანმა მეტად კარგი მო-
სავალი იცის როგორც პურისა, ისე
ღვინისა. მებატონემ მოინდომა ეს
გამდიდრებული სახლობა სათლელ
დუმად გაეხადნა, ისარგებლა იმითი,
რომ ნასყიდობა ფორმით არ მომხ-
დარიყო და შარი უგდო: ჩემი მამუ-
ლი შენ არ გიყიდნია, ხიზანი ხარ,
ან შემსახურე და ან ჩემს მამულს
თავი დაანებო. დაიწყო დავა, გლე-
ხები დიდხანს იცავდნენ მხნელ თა-
ვისს უფლებასა, მთელი თავისი შეძ-
ლება მოახმარეს ამ დავას, უფრო-
სი მათგანი მოხუცი ტეტია სირბი-
ლაძე პეტერბურგშია-კი წავიდა
ფინითა, რადგან ეგონა, იქ ქრთამს

ერიდებოდა...

ჩვენ, ქართველებსაც, ოდესმე მო-
გვეპოვებოდა რამდენიმე ტაძარი მეც-
ნიერებისა და, რასაკვირველია, ქუ-
რუმნიც საკმაოდ გვეყვანდნენ. დრო-
თა ბრუნვის გამო ტაძარი დაირღვე-
ნენ, მოიხსნენ. მხოლოდ მათნი ნან-
გრეენი გულსაკლავად მოწიბვნენ,
რომ საქართველოშიაც არსებობდა
მეცნიერება, უმაღლესი განათლება.
მაგრამ მეცნიერების ქურუმნი-კი ახ-
ლაც ვვადიან, თუმცა ეს უკანას-
კნელნი აღარ მსახურებენ მეცნიერე-
ბის საეროვნო ტაძარში და უცხო-
ეთში იღვწიან, მუშაკობენ. ამოიბნენ,
რომ მეცნიერებას სამშობლო არა
აქვს და მისი სამეუფო მთელი სამყა-
რო და კაცობრიობააო, ზოგი ქარ-
თველიც ამით იქარვებს გულის
დარდს, როცა ბასი ჩამოვარდება
ხოლმე ჩვენებურს მეცნიერებაზედ,
რომელნიც სამშობლოს მოშორებუ-
ლნი არიან. მაგრამ ეს მარტო ტკი-
ლი ოცნებაა! მართალია, მეცნიერე-
ბა თავისს სხივსა და მადლს მთელს
კაცობრიობას ჰყვებს და ამის გამო
იგი თითქო რომლისამე ერთის ერის
საკუთრებას არც უნდა შეადგენდეს,
მაგრამ მაინც მეცნიერებასაც თავისი
სამშობლო აქვს: ასე რომ არ იყვოს,

ახალი ამბავი

ადგილი არ ექნებოდა; მაგრამ ძალა-
ლობამ, ქრთამმა და უსამართლო
უდიერობამ თავისი გაიტანა. მება-
ტონემ მოიგო საქმე, დააწოკა გლე-
ხები, აპყარა მამულიდან და გარეკა
ღვთის ამარა. გლეხებს ძლიერ ენა-
ნებოდათ თავისი მამული, რომელშიაც
იმოდენა ოფლი ჩადვარეს და ისევ არ-
ჩიეს ადლოთ უჩიის ვალი და ხელმო-
რედ შეესყიდნათ იგი კანონიერი დო-
კუმენტებითა. არჩიეს და ასეც მოიქე-
ნენ. მაგრამ წარმოიდგინეთ, რა მოხდა
ბოლოს და ბოლოც. ამას წინედ
გამიჯვინს დროს ეს გლეხები თურმე
შიშმა აიტანა, ვაი თუ ჩვენი წინან-
დელი მოდავენი კიდევ წავგედაონ,
კიდევ დავგვტანჯონ, საქმე გავიკი-
რონო, და სახელმწიფოდ-კი გამოა-
ცხადეს თავისი თავიკა და მამული-
კა და ისეც ჩააწერინეს გამიჯვინს
დავთრებში. როდესაც წარსულს ოქ-
ტომბერში ვკითხე, რად ჩავიდინათ
სულელობა, ორჯერ ნასყიდს საკუთ-
რებაზედ რად ავღლიათ ხელი, სხვისთ-
ვის რად დაგითმიათ თქვენი მამულ-
დელული, პასუხად მივიღე ეს სიტყვე-
ბი: ხელმწიფეს რად უნდა ჩვენი მამ-
ული, რად იკადრებს მისს ჩამორთ-
მევასა, პირიქით ისეთ მფარველად
გვეყოლება, რომ დავას ვეღარავინ
გავიბედავსო.

ბ-ნი სუფორინი-კი არამც-თუ მფა-
რველობას არ უწევს, სამაგიეროდ
ქადაგებს-ეს სამჯერ და ოთხჯერ
ნასყიდი მამულები ქართველს გლე-
ხებს ჩამოვართვით და იქ გადავსა-
ხლოთ ჩრდილოეთიდან ჩვენებური
გლეხებო.

ჩვენ, რა საკვირველია, ახალი
დროების მოსარჯულბობად არა
ვსწერთ ამ სტრიქონებსა. კარგად
მოგესხენებათ, რაც უნდა ბევრი
იკითხოთ მგლის თავზედ სახარება,
იგი მაინც თავისას არ დაიშლის.
ჩვენ სახეში გვყავს პირველად ის დავი-
დარაბის მოყვარე მემამულენი, რომე-
ლთაც ისე დაშინებული ჰყავს გლე-
ხები, რომ ეს უბედურები სუფორინ-
ის მუტიკების ლუკმად ჰხდიან თავისს
საკუთრებასა; მეორედ თვითონ ეს გლე-

ხები, რომელნიც საარაკო გრიბულს
მოგაგონებენ, იმ გრიბულს, რომე-
ლსაც წვიმისა შეეშინდა და აღელ-
ვებულს მდინარე ში-კი გადავარდა;
მესამედ ის აგენტები, რომელნიც
უწმინდური განძრახვითაბრყვიებენ მე-
კუთრე გლეხებსა და გამიჯვინს დროს
სახაზინოდ აღებინებენ ორჯერ და
სამჯერ ნასყიდს მამულებსა. დროა
შეიგონონ ჩვენმა თავად-ახნაურებმა
და გლეხებმა, თუ რა დამლუბელი
შედგვი მოსდევს მათთვის და ქვეყ-
ნისათვის მათს უკუღმართობას და
წინ დაუხედველობასა. დროა აგრე-
თვე თავისი წმინდა მოვალეობა ხა-
ლხისადმი შეასრულოს ნასწავლმა,
ქართველობამ, რომელიც წვილიმან
რამეგზუნდ დაუსრულბებულს ებისტო-
ლებს სწერს და მთავარი ვარამნი
ხალხის ცხოვრების-კი მივიწყებული
აქვს, რომელიც სიტყვით დიდი მო-
ყვარულია ხალხისა და საქმით-კი იმუ-
რებს მცირეოდენ თანაგრძობას, უბრა-
ლო დარიგებას, ხელმძღვანელობას
დიდი გაკირების დროსა. ხოლო რა
დიდი სიკეთის მოტანა შეუძლიან ამ
უბრალო დარიგებას-კი, დავრწმუ-
ნდი ამ შემოდგომას გამიჯვინს საქმე-
ბის აგრჩევის დროს გორში, სადაც მოგ-
როვილი გლეხობა, ძლიერი მხნეო-
ბით, მოთმინებით, სინიდისით, ნამუ-
სით და ბუნებრივი ჰკუთით, სწორედ
უსუსურის ბავშვების გროვას მოგა-
გონებდა, როცა გამიჯვინს კანო-
ნებს და კაიზუსტიკას შეეხებოდა
საქმე.

უარესი გაჭირება აღარ შეიძლება.
მივეშველოთ ყველა, ვისაც-კი რამე
შეგვიძლიან. აუხსნათ თვალები,
სწორედ გზა დავანახოთ, ხიფათს გა-
დავარჩინოთ ხალხი. მადლი, დიდი
მადლი იქნება. ჯერ კიდევ დრო არ
დაგვიკარგავს, გამიჯვნა ახლად დაიწ-
ყო და მხოლოდ მცირედი ნაწილი
გამიჯვნა. ბევრს გადავარჩენთ ხი-
ფათსა, თუ გულით მოვიწოდებთ
შველასა.

იაკობ ვარიანელი.

მაშ რად იქნებოდა ამოდენი დავი-
დარაბა და კამათი—არა, ეს და ეს
მეცნიერება ჩვენი ნაშობია და არა
სხვისაო... დიად, მეცნიერებასაც თავისი
სამშობლო აქვს, თუმცა იმისი
მადლი ყველა ერს სწვდება, როგორც
მზე, რომელიც ყველას «სწორედ
მოგფინების»... დიდს პატივსა და
თაყვანს სცემენ ამ მადლს და ამი-
ტომ თვითუღს განათლებულს ერს
თავი იმით უფრო მოსწონს, როცა
იმის სამშობლო მეცნიერების და გა-
ნათლებების წყაროა. მართლაც და,
ისრე არაფერი აბრწყინებს და ამშვე-
ნებს ერსა, როგორც მეცნიერება და
ნეტავი იმ ხალხს, რომელსაც ეს ზე-
ციური საუნჯე უხვად შეუძენია...

მეცნიერი ჩვენი გვეყვანან მეთქი...
მაგრამ საუბედურა ის არის, რომ
საკუთარი სამეცნიერო ტაძარი მო-
გვეშალა და ამიტომ ქართული მეც-
ნიერება აღარ არსებობს... ჯერ-ჯერ
რობით მაინც, იქნება ქართველნი
მეცნიერნი სამაგალითონი იყვნენ და
სადიდებელნიც, მაგრამ სამშობლოს
რაო?—სახელი ჩვენი და სახარავი
კი სხვისა. რაც უნდა ბევრი იღვა-
წოს ქართველმა მეცნიერმა, რაც
უნდა ძრიელ დამამშვენის მეცნიერ-
ბის ტაძრის კათედრა, მაინც სამშო-
ბლოს არა მიეცხება-რა. ასეთი შრო-

მა და ღვაწლი ამოა იქნება სამშობ-
ლოსათვის და სწორედ ეგრეთი ამოც
არის ზოგიერთა ქართველ პროფესო-
რების სამეცნიერო მუშაობა. რასა-
კვირველია, დროთა ვითარების ბრა-
ლია, რომ ქართველს მეცნიერს ფეხ-
ქვეშ გამოკლილი აქვს მშობლიური
ნიდაგი და ამიტომ იგი მეცნიერი
ვერ ასრულებს სამშობლოს წინაშე
თავის მოვალეობას. მაგრამ უსამა-
რლობა იქნებოდა, მთლად ბრალი
დროთა ვითარებას დავსდოთ. კაცი
იმის კაცია და მეცნიერი იმის მეც-
ნიერია, რომ ხელ-შემშლელს გარე-
მოებას და დაბრკოლებას ებრძოლოს,
სამშობლოს შვილობა გაუწიოს გა-
კირების დროს. და განა ესრე იქ-
ცვიან ჩვენი რუსეთუმე-პროფესო-
რები?.. ამ რუსეთუმე-პროფესორებ-
საც, უმეტესად, ზოგი მომხრე გა-
მოუჩნდება, —ქართული არ იციან,
ისეთს სპეციალს მეცნიერებას მისდევ-
ვენ, რომელიც ქართველ საზოგადო-
ებას ჯერ არ ესაქიროებოდა და სხ.
ამისთანები... მაგრამ ასეთი გამართ-
ლება სრულიად უსაფუძვლოა. ვისაც
გული შესტყვია სამშობლოსათვის,
იმას ენის უკოდინარობა ვერ დააბ-
რკოლებს და რომელსაც საკუთარის
ქვეყნის აწმყო და მერძისი ეფიქრება
და აწუხებს, ის ეცდება კიდევ თავ-

დრომატიულ დასისაგან წარმოდგენი-
ლი იქნება „პარისელი ღარიბ-ღატაკ-
ნი“, დრამა 5 მოქმედ. ვ. გუნაის
მიერ ნათარგმნი. წარმოდგენაში მო-
ნაწილეობას იღებენ: ავალიშვილისა,
ჩერქეზიშვილისა, მელიქიშვილისა,
ჩხეიძისა, ბ-ნი აბაშიძე, ალექსი-მეს-
ხიშვილი, კ. მესხი, გედევანოვი, გუ-
ნია და სხვანი.

დღეს, 21 იანვარს, ქუთაისში
ქუთაისის საქველმოქმედო საზოგა-
დოების სასარგებლოდ გამართული
იქნება საცეკვაო საღამო.

ს. ყვარელიდამ ატყობინებენ
გაზ. „ნოვ. ობ.“-ეს, რომ 17 იან-
ვარს ადგილობრივის სავაჟო სასწავ-
ლებლის მასწავლებელს ღუმბაძეს
რევოლვერით დაუჭირა ამავე სასწავ-
ლებლის მასწავლებელი ქალი შ—ა.
ამ უკანასკნელს ხუთი ტყვია აქვს
მოხვედრილი და მეტად საშიშ მდგო-
მარეობაშია. მიზეზი ასეთის საქციე-
ლისა ჯერ არ იციან. ღუმბაძე შეპ-
ყრობილია.

პეტერბურგიდამ იუწყებიან,
რომ იქ მალე გაირჩევა ტფილისში
მეორე კადეტის კორპუსის დაარსე-
ბის საქმე და უმეტესად ტფილისი-
სათვის სასურველად გარდაწყდებაო.
(„ტ. ლ.“).

დღეს, 21 იანვარს, რუსე-
თის საიმპერატორო გეოგრაფიულ
საზოგადოების ორმოც-და-ათის წლის
იუბილეს დღეს მოხდება საგანგებო
კრება ამ საზოგადოების კავკასიელ
განყოფილებისა. კრებაზე ამ განყო-
ფილების წევრი ი. ვ. ფიფუროვსკი
წაიკითხავს თავის გამოკვლევას: „ცი-
კლონების მიმართულება და იმა-
თი გავლენა ნიაღვრებზე ქუთაისი
გუბერნიისა“. კრება მოხდება მთა-
ვარ-მართებლის სასახლეში, ნაშუა-
დღეის 2 საათზე. („კავკასია“).

გამოვიდა პირველი ნომერი
„ჯეჯილისა“ და დაურიგდა ხელის

მომწერლებს. ამ წიგნის შინაარსი
შემდეგია: I „კატა-მეზია“ ლექსი—
შ. მღვიმელისა, II „არიკა ქურდ-
ბი!“ საახალწლო სურათი თ. რაზი-
კაშვილისა, III „მთავრე ლოცუ-
ლობს“ ლეგენდა—გ. აბაშიძისი,
IV „წყალ-კუთხევა“ (ფრანგული-
დამ)—ან. წ—ისა, V „ელისა“
ლექსი—შ. მღვიმელისა, VI „ჯემს
გარფილდის ცხოვრება“ (ბიოგრა-
ფია)—ბატუსი (შემდეგი იქნება), VII
„დედის ერთა ვაჟი“—გ. წყალტუ-
ბელისა, VIII „სახალწლო საჩუქა-
რი“ (ფრანგულიდამ)—ე. კოსი, IX
„ჯერ მტერი, მერე მოკეთე“ (იგავი)
—ა. მ—ვილისა, X „პატარა მება-
ღე“—თ. —სა, XI „გულთმისანი“ ნა-
მღვილი ამბავი (ფრანგულიდამ)—ვ.
ნოსი და XII „წვრილმანი“.

წიგნის თავში მოთავსებულია
ღვთის-მშობლისა და იესო ქრისტეს
ნახატი.

ქურნალი „ჯეჯილი“ 1896 წელს
გამოვა ყოველ თვე, ე. ი. ხელის
მომწერლები მიიღებენ წლის განმავ-
ლობაში 12 წიგნს—ექვსის მაგივრად
და ქურნალი მხოლოდ ერთი მანე-
თით მეტი ეღირება (ტფილისში 4
მ. და ქალაქ გარედ—5 მ.) რედაქ-
ციაში მუდმივი თანამშრომლობა იკი-
სრეს: რაჟ. ჯაჯანაშვილმა, ალ. მი-
რიანაშვილმა და ალ. გარსევანა-
შვილმა.

მთავარ-მართებლის საბჭოში
განსახილველად წარდგენილს საგან-
ზე იმის შესახებ, რომ ტფილისში
სამასწავლებლო სამეურნეო სემინა-
რია გახსნათ, აგრეთვე კავკასიის
სხვა გუბერნიებში გახსნათ მეღვინე-
ობის სკოლები, 18 იანვარს, ხუთშა-
ბათს, უარი სთქვა საბჭომ. გარდაწ-
ვეტილია ქუთაისის სამეურნეო სკო-
ლა მეღვინეობის სკოლად არ გადა-
აკეთონ, არამედ დასტოვონ ისე,
როგორც დღეს არის. („ნოვ. ობ.“)

როგორც ვაზეთს „ნოვოე
ობოზ.“-ს შეუტყვია, ახალგაზრდა
სწავლულს საფრანგეთისას პიერ მო-
რინის კავკასიაში მოგზაურობა განუ-
ზრახავს ამ მხარის ეთნოგრაფიულ,
ლიტერატურულ და ისტორიულ გა-
მოკვლევათათვის.

როგორც კურთხეულმა და მადლიან-
მა ნასწავლმა ქართველმა ჩასლო
საბირკველი ამ ლიტერატურისა,—
ოფიციალური მეცნიერნი აქ არაფერ
შუაში ყოფილან. იმ დროიდან აქა-
მომდე მუნდროსანი მეცნიერება გა-
ნხედ უდგია ჩვენს ქურნალ-გაზეთო-
ბას და გულ-გრძილად შესტყვის იმის
ბედსა, გაჭირებას. ასე გასინჯეთ,
თვით ის უმაღლესი კათედრა-კი,
საიდანაც ქართული მეტყველება გა-
ისმის, თითქო მღუმარებს და მუნ
ჯობს,—აგერ რამოდენი ხანია, რაც
იმ კათედრის ქურუმისა არა დაწერი-
ლა-რა ქართულად. ხოლო რაც კი
დაწერილა რუსულად, ისიც საკმაო
საბუთია დავასკვნათ, რომ ქურუმნი
კვარცხლ ბეკზედ შემდგარა და ყო-
ყოფობს, თითქმის იალბუხის თხემი-
დამ დასტყვის ჩვენს პაწაწა ლიტე-
რატურასა... სხვას რადა მოეთხოვე-
ბა, როდესაც თვით ქართულ კათე-
დრის პროფესორი ასე ეტყევა ჩვენს
დრო-გამოშვებითს მწერლობას!?

სამღურავი და საყვედური-კი ბლო-
მად ისმის, რომ ეს მწერლობა ჯე-
როვანი საზრდო გნებათ, როდეს-
საც ქართველნი მეცნიერნი მონაწი-
ლეობას არ იღებენ დრო-გამოშვე-
ბითს მწერლობაში. შესარგებს და

* * ბათუმი: ერთის თვის განმავ-
ლობაში კიდევ არაფერი გვეღირსება:
სამუშაო ჯერ არ არის იმდენი, რომ
გორც ამას წინად იტყობინებოდნენ.
მართალია როტშილდის ქარხანა ააწ-
რიბინეს, მაგრამ არა აღრინდელად,
როდესაც 3200 კაცი მუშაობდა;
ახლა მხოლოდ 300 კაცი მუშაობს.
სხვა მექარხნებს ჯერ-ჯერობით მუ-
შაობა არ დაუწყიათ და მართალი
რომ მოგახსენოთ, არც ასე მალე
იქნება სამუშაო.

კოკისპირულმა წვიმამ თავი მოგ-
ვაბურა: მზიანი დღე გვენატრება;
შეუბრალებელი ყელ-ქირვება გვეს-
ტუმრა; ზოგიერთი კიდევ გამოასა-
ლმა წუთი-სოფელს.

* * ჩვენ გთხოვნი დავებულთ
შემდეგი: უსინათლოთა სამზრუნვე-
ლოს კავკასიის განყოფილების საბ-
ჭო საყოველთაოდ აცხადებს, რომ
1895 წ. 1 დეკემბრისთვის განყოფი-
ლების კასაში იყო 34824 მან. და
31 კ.; დეკემბრის განმავლობაში შე-
მოვიდა 520 მ. 42 კ.; ამავე თვეში
გაიკა 825 მ. 2 კაბ., ამ წლის 1
იანვრისთვის დარჩა 34519 მ. 71 კ.
ამ ფულიდამ: 1) მიმდინარე ანგარი-
შზე სახელმწიფო ბანკის ტფილისის
განყოფილებაში არის 998 მ. 88 კ.,
2) იქვე %/0 ქაღალდებით ინახება
31129 მ. 72 კ. 3) იქვე შემნახველ
კასაში არის 2316 მ. 15 კ. და 4)
განყოფილების კასაში ნაღდათ არის
74 მან. 96 კ.

განყოფილების საავადმყოფოში
თვალის ავადმყოფობით ახლად მო-
ვიდა 196 კაცი, მკენი და ძველი
ავადმყოფები ერთად სულ 1775-ჯერ
მოვიდნენ საავადმყოფოში, ამავე
დროს 31 ოპერაცია გაუკეთეს, რომ-
ლიდამ 14 საავადმყოფოში შწოლი-
არეთ და 17-გარედამ მოსულთ.

ბორის პონდინი.

ს. მ. ბორის, (გორისის ხეობა)
ქვე-ქვეობით საკვირველი თბილი სა-
მთარა ჩვენსა; ვასეც სამყოფი საქონ-
ლის საკვება არ ქქონდა ზღამთ მომ-
ზადებულა იმათ მოქსელა ღმერთმა და

ყუთიანს საზრდოს მაშინ იგემებს
მკითხველი საზოგადოება, როდესაც
მეცნიერება დაუკავშირდება ეგრედ-
წოდებულს პატარა მწერლობას, გას
უჩვენებს, წინამძღოლობას გაუწევს
და ამასთანავე გააპოხინებს და ში-
ნაარსით გაამდიდრებს. სხვაგან, სადაც
ჩვენზედ დაშორებით განათლებულნი
არიან, სწორედ ეგრეა საქმე. იქ არც
ერთს სახელოვანს მეცნიერს არ ეთა-
კილება ვაზეთის თანამშრომლობა,
ქურნალში მოღვაწეობა. მკოდნენი
და მეცნიერებით აღტურვილნი დიდს
ძალასა და გავლენას ჰმატებენ დრო-
გამოშვებითს მწერლობას. ამიტომაც
საზოგადოება პატივით ისმენს მწერ-
ლობის ღაღადას, ქადაგებას. ჩვენში
სულ სხვაა,—აქ მეცნიერება და
დრო-გამოშვებითი მწერლობა, თი-
თქო გაბუტულან და გამწყალანო,
ისე უტყვიან ერთმანეთს. პირ-
ველის გულ-ქვაობა და მეორის
ულონობა აფერხებს სამშობლოს წა-
რმატებას და დროა, რომ ჩვენმა
მეცნიერებმა საქურუმო მედიდურება
განუტევონ, ბ. პეტრიაშვილის მიზა-
ძონ და ქართულს ქურნალ-გაზეთო-
ბას მხარი მისცენ...

Plebs.

